



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ32. 32230169

თარიღი:16/01/2023

მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევისა და საერთო კრებების/კონსულტაციების გამართვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ და „ე.ვ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტები ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის # 564 დადგენილებით დამტკიცებული პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეიქმნას მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევისა და საერთო კრებების/კონსულტაციების გამართვის მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ჯგუფის თავმჯდომარე - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - **როინი დეკანოიძე** (ფუნქცია: პროცესის საერთო ხელმძღვანელობა);

ჯგუფის მდივანი - **თამარ კიპაროიძე**;

ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციისა და საერთო კრება /კონსულტაციის ორგანიზებისთვის წევრია - **შალვა აბრამიშვილი**;

ა) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი **მამუკა შუბითიძე** (ფუნქცია: ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით);

ბ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ინფორმაციისა და სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი **ირინე მაჭარაშვილი** (ფუნქცია: მოქალაქეთა ინფორმირება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ურთიერთკოორდინაცია და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზების პროცესში მონაწილეობა);

გ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ლიკა ქამუშაძე** (ფუნქცია: მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook გვერდის,

ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის და სახლებში წარმართვისათვის);

დ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ლევან გაბაძე** (ფუნქცია: პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა);

ე) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

ბექა გავაშელი (ფუნქცია: მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, დასახლების საერთო კრებების კონსულტაციების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა);

ვ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობისა, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების ხელმძღვანელი **ჯაბა ასანიძე** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

ზ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილების მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **შახინ ახუნდოვი** (ფუნქცია: ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება);

თ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განვითარების პროცესის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **აიკ გოგიაძე** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

ი) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ბორის სხირტლაძე** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვის, მერისათვის წინადადებების და საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა);

კ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **რომან ტაბატაძე** (ფუნქცია- შერჩეული საპროცესო წინადადებების განხილვაში მონაწილეობა);

ლ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მ/შ) **მანანა ნავერიანი** (ფუნქცია: პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის

ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა);
მ)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, იურიდიულ საკითხთა და ადამინური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ინგა აბრამიშვილი** (ფუნქცია: მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა);

ნ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობისა, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **გასან გასანოვი** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

ო)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განვითარების პროცესის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **იოსებ შუბითიძე** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

პ)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **დავით ნიკურაძე** (ფუნქცია: მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის);

ჟ)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი **დავით ხარშილაძე** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვის, მერისათვის წინადადებების და საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა);

რ)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ინფორმაციისა და სტატისტიკის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **მარეტა ბაბლუანი** (ფუნქცია: მოქალაქეთა ინფორმირება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ურთიერთკოორდინაცია და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზების პროცესში მონაწილეობა);

ს)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განვითარების პროცესის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **გიორგი ბერიძე** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის

ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

ტ)წევრი- მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ეკონომიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი **რავილ გასანოვი** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

უ)წევრი -მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **გივი გიორგაძე** (ფუნქცია- შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვაში მონაწილეობა);

ფ)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - **ბექა აბდელანი** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

ქ)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განვითარების პროცესის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების ხელმძღვანელი **დავით მულაძე** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

ღ)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, იურიდიულ საკითხთა და ადამინური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **კახაბერ ქველაძე** (ფუნქცია:მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა);

ყ) წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი **ლარისა გელაშვილი** (ფუნქცია: პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა);

შ)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი **დავით ჭიკაძე** (ფუნქცია: მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის);

ჩ)წევრი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს მეორადი

სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და განვითარების პროცესის დაგეგმარების განყოფილების ხელმძღვანელი **კარლო ასანიძე** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

ც)წევრი/მდივანი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ინფორმაციისა და სტატისტიკის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **თამარ კიპაროძე** (ფუნქცია: მოქალაქეთა ინფორმირება, საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზების პროცესში მონაწილეობა, ამ სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმების წარმოება);

ჭ)წევრი - ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი **რიმა ოთარაშვილი** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება).

ხ)წევრი- მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **დინარა რატიანი** (ფუნქცია: საპროექტო წინადადებების გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);

ჯ) წევრი- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **როვშან ისკანდაროვი** (ფუნქცია-საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მასობრივარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში);

2.ამ ბრძანებით განსაზღვრული პირებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულება ამ პირების არ ყოფნის შემთხვევაში დაევალოს, მისი ფუნქციების მოვალეობის შემსრულებელს.

3.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილების ხელმძღვანელს (არ ყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელი), უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დაგეგმილი საერთო კრებების/კონსულტაციების, მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეების მონაწილეობით, შეუფერხებლად და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით სათანადო ღონისძიებები.

4.განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში) (არ ყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელი) საერთო კრების საქმიანობის წარმართვაზე (სხდომის თავმჯდომარე) მერიის უფლებამოსილ პირად, გარდა იმ დასახლებების საერთო კრებისა, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული და დასახლებებში კონსულტაციის ჩატარების და პროექტის შერჩევის პროცედურების გამძღოლ მერიის უფლებამოსილ მოხელედ.

5. განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილების მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, საერთო კრების, გარდა იმ დასახლების საერთო კრებისა, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული და დასახლებებში კონსულტაციის ჩატარების ტექნიკურ უზრუნველყოფაზე (წევრების რეგისტრაცია, ხმების დათვლა და ოქმის შედგენისათვის საჭირო ყელა სხვა ღონისძიება) მერიის უფლებამოსილ მოხელედ.

6. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა.

7. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა #113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

